



„21“ „სექტემბერი“ 2015 წ.

ლიცენზია №167

აუდიტორული დასკვნა

შპს „აუდიტ ექსპერტი 96“-მა (აუდიტორი ამირან ჯანგიძე) რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ეწევა, აუდიტორული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით. ჩავატარე შპს ტელე-რადიო კომპანია „რიონი“-ს ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ანგარიშგების და მოგება-ზარალის ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელობა, ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გაცეთ ცნობა.

აუდიტი წარიმართებოდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარ დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას, აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ანგარიშგებაში ასახული თანხების დადასტურების მიზნით. აუდიტი ასევე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა რომ ჩემს მიერ

ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვამღებს დასკვნის შესადგენად.

შპს ტელე-რადიო კომპანია „რიონი“-ს შემოსავალმა 2014 წელს შეადგინა 414745 (მათ შორის: სარეკლამო მომსახურებით შემოვიდა 281 630, საეთერო დროის გაყიდვით - 105 137, სხვადასხვა ტიპის განცხადებებით 22 980, ტექნიკური მომსახურება 1028, სხვა-3970) ლარი დღგ-ს გარეშე. სახელფასო ფონდში დაიხარჯა 258630 ლარი, ძირითად საშვალეებში 35059 ლარი, სხვა დანარჩენმა ხარჯებმა შეადგინა 74408 ლარი. საერთო ჯამში გამოქვითვებმა შეადგინა 368097 ლარი. მოგება დაბეგრამდე 46648 ლარი, რომლითაც მოხდა წინა წლის 35274 ლარი ზარალის გამოქვითვა. დასაბეგრი მოგება 11374 ლარი, მოგების გადასახადი 1706 ლარი, სუფთა მოგებამ შეადგინა 9668 ლარი.

2014 წელს ბიუჯეტში გადასახადების სახით გადახდილია 115777 ლარი.

2014 წელს ტელე-რადიო კომპანია „რიონი“-ში მუშაობდა 67 თანამშრომელი, რომელთა საშუალო ხელფასი არის 331 ლარი.

წარმოდგენილი ანგარიშგება (ბალანსი) შედგენილია ბუღალტრული არღივების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დირექტორი:



ამირან ჯანგიძე